საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 25 ნოემბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 52

**მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში - გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 122 ე მუხლის მე-4 და მე-5-ე პუნქტების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში, 5 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუჟავას ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 60 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (უძრავი ქონების ს/კ N 47.05.31.009.). წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 ლარით.

2.განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია